ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-27
1. შესაბამისობის ანგარიში	8
3. ზოგადი ინფორმაცია	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	9
5. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები	18
6. შემოსავალი	18
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
8. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	19
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
10. მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	19
11. ძირითადი საშუალებები	20
12. აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულება	21
13. მარაგები	21
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
16. სესხები	22
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
18. პირობითი ვალდებულებები	23
19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
20. რეალური ღირებულების განსაზღვრა	24
21. ფინანსური ინსტრუმენტები	24
22. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	27

ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბიოდიზელი ჯორჯია“-ს და მისი შვილობილი კომპანიების („შემდგომში - ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,ფასს”) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

_____

მურმან პატარაია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს „ეი ეი ჯგუფი“
დიღმის მასივი
თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: + 995 591 51 75 91

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბიოდიზელი ჯორჯია-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ბიოდიზელი ჯორჯია-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი” (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 30 სექტემბერს ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქვა უპირობო მოსაზრება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფს აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს "ეი ეი ჯგუფი“-ს სახელით
სერგო ნონიაშვილი

2025 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	6	7,795,482	5,780,853
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(4,007,074)	(2,570,144)
საერთო მოგება		**3,788,408**	**3,210,709**
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	8	(898,526)	(579,095)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(3,173,753)	(2,320,553)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(66,267)	7,238
საოპერაციო მოგება		**(350,138)**	**318,299**
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა		403,399	(50,082)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	10	(45,809)	10,008
ფინანსური შემოსავალი		15,243	12,050
ფინანსური ხარჯი		(86,659)	(26,984)
მოგება დაბეგვრამდე		**(63,964)**	**263,291**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		**(63,964)**	**263,291**
სხვა სრული შემოსავალი /(ხარჯი)			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		**(63,964)**	**263,291**
მთლიანი სრული მოგება, რომელიც მიეკუთვნება			
ჯგუფის მფლობელებს		(22,061)	296,346
არამაკონტროლებელი წილის მფლობელს		(41,903)	(33,055)
წლის პერიოდის მოგება/ზარალი)		**(63,964)**	**263,291**
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება			
ჯგუფის მფლობელებს		(22,061)	296,346
არამაკონტროლებელი წილის მფლობელს		(41,903)	(33,055)
წლის პერიოდის მოგება/ზარალი)		**(63,964)**	**263,291**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

8-27 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,936,943	1,015,040
არამატერიალური აქტივები		7,424	7,424
აქტივი გამოყენების უფლებით	12	229,380	208,852
გაცემული სესხი		179,593	127,320
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,353,340**	**1,358,636**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	499,579	716,236
გაცემული სესხი		34,490	18,236
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	742,032	353,141
საგადასახადო აქტივი, წმინდა		210,150	154,248
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	121,806	143,017
სულ მიმდინარე აქტივები		**1,608,057**	**1,384,878**
სულ აქტივები		**3,961,397**	**2,743,514**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		463,748	463,748
გაუნაწილებელი მოგება		1,238,759	1,270,051
არამაკონტროლებელი წილი		(33,186)	(514)
სულ კაპიტალი		**1,669,321**	**1,733,285**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	177,199	169,925
სესხები	16	1,018,260	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,195,459**	**169,925**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16	89,488	40,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	923,597	752,522
საიჯარო ვალდებულება	12	83,532	47,377
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,096,617**	**840,304**
სულ ვალდებულებები		**2,292,076**	**1,010,229**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**3,961,379**	**2,743,514**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

8-27 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	**493,169**	**1,011,065**	**-**	**1,504,234**
პერიოდის მოგება	-	296,346	(33,055)	**263,291**
წილის შეძენა შვილობილ კომპანიაში	-	(37,360)	(28,183)	**(65,543)**
კაპიტალიდან თანხის გატანა	(29,421)	-	-	**(29,421)**
თანხის შეტანა კაპიტალში	-	-	60,724	**60,724**
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	**463,748**	**1,270,051**	**(514)**	**1,733,285**
პერიოდის მოგება	-	(22,061)	(41,903)	**63,964**
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	**463,748**	**1,247,990**	**(42,417)**	**1,669,321**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

8-27 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(63,964)	263,291
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		164,057	137,564
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		1,864	1,701
საპროცენტო ხარჯი/(შემოსავალი), წმინდა		68,610	14,934
მოთხვნების გაუფასურება/(აღდგენა)	14	66,267	(7,238)
საკურსო სხვაობიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	10	45,809	(10,008)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**282,643**	**400,244**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(460,667)	86,839
ცვლილებები მარაგებში		216,657	(520,711)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		(55,902)	(78,263)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		171,106	440,126
გადახდილი პროცენტი		(83,014)	(26,984)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**70,823**	**301,251**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,004,821)	(316,294)
სესხის გაცემა		(49,014)	(7,466)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(1,053,835)**	**(323,760)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის აღება		1,252,760	-
სესხის დაფარვა		(228,860)	-
თანხის გატანა კაპიტალიდან		-	(29,421)
თანხის შეტანა კაპიტალში		-	60,724
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა		(64,045)	(27,903)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		**959,855**	**3,400**
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა შემცირება		**(23,157)**	**(19,109)**
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	15	143,017	160,297
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	10	1,946	1,829
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**15**	**121,806**	**143,017**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

8-27 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შესაბამისობის ანგარიში

(ა) მომზადების საფუძვლები. წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ძალაში შესული უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობის ფლობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი

კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიებზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

2. ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმბები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

8-27 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

3. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბიოდიზელი ჯორჯია“ („კომპანია“) დაფუძნდა 2017 წლის 28 ივნისს ქ.თბილისში. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე. კომპანია ძირითადად ბიოდიზელის წარმოებითა და გაყიდვით არის დაკავებული. გარდა ამისა, კომპანიას ექსპორტით გააქვს გამოყენებული საკვები ზეთი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები არიან: ფიზიკური პირი მურმან პატარაია - 10% და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ტრანსინსპექტი“ - 90%. შპს „ტრანსინსპექტის“ 100%-ის მფლობელი როსტომ ნაკაშიძეა.

კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი საწარმოა (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

		31.დეკ.24	
კომპანიის სახელწოდება	**საქმიანობა**	**თვითღირებულება**	**კომპანიის წილი**
შპს სატრანსპორტო ლოჯისტიკური კომპანია ოილ ლოჯისტიკი	სატრანსპორტო მომსახურება	337,504	100%
შპს გრინ ჰაბ თბილისი	იჯარის მომსახურება	643,350	100%
შპს ალტერვეისტი	ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება	126,823	57%
შპს ბიოგაზი ჯორჯია	არ ფუნქციონირებს	2,000	100%
შპს რენდერტექ ჯორჯია	არ ფუნქციონირებს	-	100%
BIODIESEL TRADING (CYPRUS) LIMITED (HE 460288)	მეორეული საკვები ზეთის შესყიდვა, ექსპორტი	207,234	100%
	ჯამი	**1,316,911**	

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და აქტივებისა, რომელიც განმარტებულია

ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას,ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია ჯგუფის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც ჯგუფი ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზრაურების რეალური ღირებულებით.

ჯგუფი შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. კონსოლიდირებული ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი /1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი /1 ევრო	2.9306	2.9753

გადასახადები

მოგების გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და დაანგარიშდება, როგორც განაწილებული წმინდა თანხის 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს

საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის პარტნიორებისთვის

დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის ვალდებულება კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან არადაკავშირებული ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

კონსოლიდირებული ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით:

ავეჯი და სხვა ინვენტარი	15%-30%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%-30%
სატრანსპორტო საშუალებები	12.5%
მანქანა-დანადგარები	12.5%-20%
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდევი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების ყიდვასა და ადგილზე მიტანისას გაწეულ ხარჯებს. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები.

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი

ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს საქონლის და სერვისის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფიმ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი

ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-90 დღე	91-365 დღე	>365
დარეზერვების პროცენტულობა	2%	25%	50%	100%

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ

დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე. ჯგუფიმ შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. ჯგუფის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

5. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.
შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღებია თუმცა, ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია ჯგუფისთვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

6. შემოსავალი

	2024	2023
ექსპორტი	7,677,691	4,794,882
ადგილობრივი რეალიზაცია	96,557	977,296
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	8,181	4,506
სხვა	13,053	4,169
სულ შემოსავალი	**7,795,482**	**5,780,853**

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ექსპორტის თვითღირებულება	3,875,775	2,096,888
ადგილობრივი რეალიზაციის თვითღირებულება	1,159,78	423,483
სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულება	15,321	49,773
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**4,007,074**	**2,570,144**

8. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2024	2023
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	880,049	574,538
რეკლამა	12,494	231
სხვა ხარჯები	5,983	4,326
სულ გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	**898,526**	**579,095**

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	2,225,979	1,648,342
პროფესიული მომსახურების საფასური	346,479	58,028
ცვეთა და ამორტიზაცია	142,340	122,997
საიჯარო ხარჯი	77,414	138,229
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	56,660	77,887
სამეურნეო ხარჯი	42,699	55,508
საბანკო ხარჯები	27,770	12,493
დაზღვევის ხარჯი	13,204	6,637
გადასახადების ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	1,198	2,784
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,944	1,589
სხვა ხარჯები	237,066	196,059
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**3,173,753**	**2,320,553**

10. მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან

2024	მოგება	ზარალი	შედეგი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,652	(20,161)	(5,509)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	172	(141)	31
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,303	(9,357)	1,946
გაცემული სესხი	2,052	(235)	1,817
საიჯარო ვალდებულება	-	(3,944)	(3,944)
მიღებული სესხები	1,081	(41,231)	(40,150)
სულ	**29,260**	**(75,069)**	**(45,809)**

2023	მოგება	ზარალი	შედეგი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,287	-	6,287
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	348	-	348
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,829	-	1,829
გაცემული სესხი	857	-	857
საიჯარო ვალდებულება	687	-	687
სულ	**10,008**	**-**	**10,008**

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამურად
პირვანდელი ღირებულება									
31.დეკ.22	**424,958**	**-**	**-**	**214,493**	**-**	**132,193**	**114,697**	**109,864**	**996,205**
დანამატები	-	-	158,302	81,309	10,447	23,061	40,237	-	313,356
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(1,701)	-	-	-	-	(1,701)
31.დეკ.23	**424,958**	**-**	**158,302**	**294,101**	**10,447**	**155,254**	**154,934**	**109,864**	**1,307,860**
დანამატები	-	831,112	-	39,317	-	20,565	113,828	-	1,004,822
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(1,864)	-	-	-	-	(1,864)
31.დეკ.24	**424,958**	**831,112**	**158,302**	**331,554**	**10,447**	**175,819**	**268,762**	**109,864**	**2,310,818**
									-
დაგროვილი ცვეთა									-
31.დეკ.22	**-**	**-**	**-**	**(76,165)**	**-**	**(37,883)**	**(10,264)**	**(67,985)**	**(192,297)**
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	(38,385)	(2,089)	(27,319)	(14,567)	(18,163)	(100,523)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31.დეკ.23	**-**	**-**	**-**	**(114,550)**	**(2,089)**	**(65,202)**	**(24,831)**	**(86,148)**	**(292,820)**
ცვეთა პერიოდისათვის	-	(20,797)	-	(13,173)	-	(27,029)	(15,321)	(4,735)	(81,055)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31.დეკ.24	**-**	**(20,797)**	**-**	**(127,723)**	**(2,089)**	**(92,231)**	**(40,152)**	**(90,883)**	**(373,875)**
საბალანსო ღირებულება									
31.დეკ.22	**424,958**	**-**	**-**	**138,328**	**-**	**94,310**	**104,433**	**41,879**	**803,908**
31.დეკ.23	**424,958**	**-**	**158,302**	**179,551**	**8,358**	**90,052**	**130,103**	**23,716**	**1,015,040**
31.დეკ.24	**424,958**	**810,315**	**158,302**	**203,831**	**8,358**	**83,588**	**228,610**	**18,981**	**1,936,943**

უზრუნველყოფა:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის შენობა 810,315 ლარის საბალანსო ღირებულებით საბანკო სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს.

12. აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულება

თვითღირებულება	სასაწყობე ფართი
31 დეკემბერი, 2023	**-**
იჯარის დაწყება	245,893
31 დეკემბერი, 2024	**245,893**
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2023	**-**
ცვეთის ხარჯი	(37,041)
31 დეკემბერი, 2024	**(37,041)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2023	**-**
31 დეკემბერი, 2024	**208,852**

საიჯარო ვალდებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საწყისი ბალანსი	217,302	-
ახალი იჯარის დაწყება	11,337	245,892
მოდიფიკაცია	92,193	-
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	33,974	24,148
იჯარის დაფარვა	(98,019)	(52,051)
საკურსო სხვაობა, წმინდა	3,944	(687)
ნაშთი წლის ბოლოს	**260,731**	**217,302**

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	83,532	47,377
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	177,199	169,925
სულ საიჯარო ვალდებულება	**260,731**	**217,302**

13. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	367,420	615,756
სამუშაო იარაღები	33,121	27,133
მზა პროდუქცია	25,989	24,852
სავაჭრო საქონელი	33,643	10,085
დაუმთავრებელი წარმოება	7,502	4,594
სხვა მარაგი	31,904	33,816
სულ მარაგები	**499,579**	**716,236**

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	565,894	217,317
გაცემული ავანსი	207,330	150,460
სხვა მოთხოვნები	41,382	41,136
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(72,574)	(55,772)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**742,032**	**353,141**

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის დინამიკა 2024 წლის განმავლობაში შემდეგია:

	2024	2023
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	**55,772**	**93,995**
დარიცხვა/(აღდგენა)	66,267	(7,238)
უიმედო მოთხოვნად აღიარება	(49,465)	(30,985)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**72,574**	**55,772**

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საბანკო ანგარიშზე	113,105	134,416
ნაღდი ფული	8,701	8,601
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**121,806**	**143,017**

16. სესხები

გამსესხებელი	**31.დეკ.24**	**31.დეკ.23**
საბანკო სესხები	1,024,698	-
სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	83,050	40,405
სულ მიღებული სესხები, მათ შორის	**1,107,748**	**40,405**

გამსესხებელი	**%**	**სესხის გაცემის თარიღი**	**დაფარვის თარიღი**	**ვალუტა**	**31.დეკ.24**	**31.დეკ.23**
სს "საქართველოს ბანკი" N1	7.50%	22.04.2024	05.04.2034	აშშ დოლარი	830,008	-
სს "საქართველოს ბანკი" N2	7.50%	06.08.2024	06.08.2029	ევრო	165,991	-
სს "საქართველოს ბანკი" N3	8.50%	31.05.2024	05.06.2025	აშშ დოლარი	28,699	-
სულ მიღებული სესხები, მათ შორის					**1,024,698**	**-**

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	903,632	742,837
გადასახდელი ხელფასი	8,312	4,595
სხვა ვალდებულებები	8,960	3,971
მიღებული ავანსი	2,693	1,119
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**923,597**	**752,522**

18. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულა.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

ჯგუფისთვის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს ჯგუფის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშემშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკვშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშირებული მხარეები	
	31.12.2024	**31.12.2023**
გაცემული სესხი	216,537	145,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	472	47,501
მიღებული სესხები	83,050	40,405

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	
	2024	**2023**
ფინანსური შემოსავალი	15,243	-
ფინანსური ხარჯი	3,293	-
უმაღლესი მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	**2024**	**2023**
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	669,119	222,095

20. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.
მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

21. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა
ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, ჯგუფი კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

	31.დეკ.24	**31.დეკ.23**
სესხები	1,107,748	40,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	923,597	297,749
ფინანსური ვალდებულებები	**2,031,345**	**338,154**
კაპიტალი	1,711,738	1,733,799
ფინანსური ვალდებულების კაპიტალთან თანაფარდობა	**119%**	**20%**

საბაზრო რისკი

ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. ჯგუფი ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	54,335	858,950	**(804,615)**
ევრო	319,695	166,839	**152,856**
შვეიცარიული ფრანკი	74,061	-	**74,061**
გირვანქა სტერლინგი	252	-	**252**
სულ	**448,343**	**1,025,789**	**(577,446)**

2023	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	50,341	98,832	**(48,491)**
ევრო	164,121	-	**164,121**
სულ	**214,463**	**98,832**	**115,631**

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2024	**2023**
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(80,462)	(4,849)
ევროს 10%-ით გამყარება	15,286	16,412
შვეიცარიული ფრანკის 10%-ით გამყარება	7,406	-
გირვანქა სტერლინგის 10%-ით გამყარება	25	-

საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან. ჯგუფში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც კონსოლიდირებულ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

საპროცენტო რისკი

ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	121,806	-	**121,806**
გაცემული სესხები	34,490	179,593	**214,083**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	742,032	-	**742,032**
სულ ფინანსური აქტივები	**898,328**	**179,593**	**1,077,921**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	923,597	-	**923,597**
საიჯარო ვალდებულება	83,532	177,199	**260,731**
სესხები	89,488	1,018,260	**1,107,748**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,096,617**	**1,195,459**	**2,292,076**
ლიკვიდობის დეფიციტი	**(198,289)**	**(1,015,866)**	**(1,214,155)**

2023 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	160,297	-	**160,297**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	426,455	-	**426,455**
სულ ფინანსური აქტივები	**586,752**	**-**	**586,752**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	247,201	-	**247,201**
საიჯარო ვალდებულება	-	-	**-**
სესხები	40,404	-	**40,404**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**287,605**	**-**	**287,605**
ლიკვიდობის დეფიციტი	**299,147**	**-**	**299,147**

22. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

ცვლილებები ინვესიტიციებში:

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა დამატებითი ინვესიტიციები მის შვილობის კომპანიებში ჯამში 542,191 ლარის ოდენობით.

ცვლილებები მიღებულ სესხებში:

ჯგუფმა დამატებით მოიზიდა 351,188 ეკვივალენტი ლარის ღირებულების სესხი, ხოლო დაფარა 435,107 ლარის ოდენობით.

\

შპს „ეი ეი ჯგუფი“
დიღმის მასივი
თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: + 995 591 51 75 91

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბიოდიზელი ჯორჯია-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ბიოდიზელი ჯორჯია-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი” (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფს აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და გბნრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს "ეი ეი ჯგუფი"-ს სახელით
სერგო ნონიაშვილი

2025 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული აწგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	6	7,795,482	5,780,853
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(4,007,074)	(2,570,144)
საერთო მოგება		**3,788,408**	**3,210,709**
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	8	(898,526)	(579,095)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(3,173,753)	(2,320,553)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(66,267)	7,238
საოპერაციო მოგება		**(350,138)**	**318,299**
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა		403,399	(50,082)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	10	(45,809)	10,008
ფინანსური შემოსავალი		15,243	12,050
ფინანსური ხარჯი		(86,659)	(26,984)
მოგება დაბეგვრამდე		**(63,964)**	**263,291**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		**(63,964)**	**263,291**
სხვა სრული შემოსავალი /(ხარჯი)			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		**(63,964)**	**263,291**
მთლიანი სრული მოგება, რომელიც მიეკუთვნება			
ჯგუფის მფლობელებს		(22,061)	296,346
არამაკონტროლებელი წილის მფლობელს		(41,903)	(33,055)
წლის პერიოდის მოგება/ზარალი)		**(63,964)**	**263,291**
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება			
ჯგუფის მფლობელებს		(22,061)	296,346
არამაკონტროლებელი წილის მფლობელს		(41,903)	(33,055)
წლის პერიოდის მოგება/ზარალი)		**(63,964)**	**263,291**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,936,943	1,015,040
არამატერიალური აქტივები		7,424	7,424
აქტივი გამოყენების უფლებით	12	229,380	208,852
გაცემული სესხი		179,593	127,320
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,353,340**	**1,358,636**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	499,579	716,236
გაცემული სესხი		34,490	18,236
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	742,032	353,141
საგადასახადო აქტივი, წმინდა		210,150	154,248
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	121,806	143,017
სულ მიმდინარე აქტივები		**1,608,057**	**1,384,878**
სულ აქტივები		**3,961,397**	**2,743,514**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		463,748	463,748
გაუწაწილებელი მოგება		1,238,759	1,270,051
არამაკონტროლებელი წილი		(33,186)	(514)
სულ კაპიტალი		**1,669,321**	**1,733,285**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	177,199	169,925
სესხები	16	1,018,260	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,195,459**	**169,925**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16	89,488	40,405
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	923,597	752,522
საიჯარო ვალდებულება	12	83,532	47,377
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,096,617**	**840,304**
სულ ვალდებულებები		**2,292,076**	**1,010,229**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**3,961,379**	**2,743,514**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

8-27 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული აწგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუწაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
წაშთი 31 დეკემბერი 2022	**493,169**	**1,011,065**	**-**	**1,504,234**
პერიოდის მოგება	-	296,346	(33,055)	**263,291**
წილის შეძენა შვილობილ კომპანიაში	-	(37,360)	(28,183)	**(65,543)**
კაპიტალიდან თანხის გატანა	(29,421)	-	-	**(29,421)**
თანხის შეტანა კაპიტალში	-	-	60,724	**60,724**
წაშთი 31 დეკემბერი 2023	**463,748**	**1,270,051**	**(514)**	**1,733,285**
პერიოდის მოგება	-	(22,061)	(41,903)	**63,964**
წაშთი 31 დეკემბერი 2024	**463,748**	**1,247,990**	**(42,417)**	**1,669,321**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი

ბიოდიზელი ჯორჯია ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული აწგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი წაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(63,964)	263,291
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		164,057	137,564
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		1,864	1,701
საპროცენტო ხარჯი/(შემოსავალი), წმიწდა		68,610	14,934
მოთხვნების გაუფასურება/(აღდგენა)	14	66,267	(7,238)
საკურსო სხვაობიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	10	45,809	(10,008)
ფულადი წაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**282,643**	**400,244**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(460,667)	86,839
ცვლილებები მარაგებში		216,657	(520,711)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		(55,902)	(78,263)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		171,106	440,126
გადახდილი პროცენტი		(83,014)	(26,984)
წმიწდა ფულადი წაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**70,823**	**301,251**
ფულადი წაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,004,821)	(316,294)
სესხის გაცემა		(49,014)	(7,466)
წმიწდა ფულადი წაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(1,053,835)**	**(323,760)**
ფულადი წაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის აღება		1,252,760	-
სესხის დაფარვა		(228,860)	-
თანხის გატანა კაპიტალიდან		-	(29,421)
თანხის შეტანა კაპიტალში		-	60,724
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა		(64,045)	(27,903)
წმიწდა ფულადი წაკადები ფინანსური საქმიანობიდან		**959,855**	**3,400**
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმიწდა შემცირება		**(23,157)**	**(19,109)**
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	15	143,017	160,297
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	10	1,946	1,829
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**15**	**121,806**	**143,017**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 30 სექტემბერს:

მურმან პატარაია
დირექტორი